



ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“

აღმასრულებელ დირექტორს  
ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

მისამართი: ქ.თბილისი, ზ.ფალაიაშვილის 27/29,  
მე-2 სართული

ქალბატონო ნინო,

საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საქართველოს მთავრობის სახელზე 2014 წლის 8 აპრილს წარმოდგენილია ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ N11916 ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც შეეხება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის N01/01-1227 გადაწყვეტილების (შპს „RMG Gold“-ისათვის სამთო სამუშაოების განსაზღვრელობის დადებითი დასკვნის გაცემის შესახებ) და სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის N05/09/221 დასკვნის ბათილად ცნობას.

აღნიშნულ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 17 აპრილის N13094 წერილით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 185-ე მუხლის, 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ მიეცათ შესაძლებლობა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, 5 დღის ვადაში წერილობით წარმოედგინა საკუთარი მოსაზრებები.

საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საქართველოს მთავრობის სახელზე 2014 წლის 28 აპრილს წარმოდგენილია ასოციაცია „მწავანე ალტერნატივას“ N14081 მოსაზრება - 2014 წლის 8 აპრილის N11916 ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად მიღების თაობაზე.

გსარგებლობთ რა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №54 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-40 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მიჩნეულ იქნა, რომ ასოციაცია „მწავანე ალტერნატივას“ N14081 მოსაზრება - 2014 წლის 8 აპრილის N11916 ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიზნით მიღების შესახებ უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, რის გამოც არ უნდა იქნეს განსახილველად მიღებული ადმინისტრაციული საჩივარი, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ამავე კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან, ხსენებული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

ამდენად, ზემოხსენებული ნორმების განმარტებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის უფლება აქვს იმ პირს, რომლის სუბიექტური უფლებაც დაირღვა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო იმისათვის, რომ განისაზღვროს ადმინისტრაციული საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი, ანუ დაინტერესებული მხარე, აუცილებელია, რომ გასაჩივრებული აქტი გავლენას ახდენდეს მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებზე და ზიანს აყენებდეს უშუალოდ მას. ამასთან, კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენება გულისხმობს იმას, რომ იგი უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ადმინისტრაციული საჩივრის ავტორებისათვის, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს როგორც კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი უფლებებიდან, ასევე უშუალოდ მოქმედი სამართლებრივი

ნორმებიდან, ანუ სახეზე უნდა იყოს კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული მხარის უფლებისათვის ან ინტერესისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტი.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის წინაპირობას წარმოადგენს დაინტერესებული პირის უფლებისათვის, ინტერესისათვის ზიანის მიყენება ან რაიმე უფლების უკანონო შეზღუდვის ფაქტის არსებობა. მხოლოდ ამ პირობის არსებობის შემთხვევაში შეუძლია დანტერესებულ პირს წარადგინოს საჩივარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით საჩივრის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში და მოითხოვოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა შეზღუდული ან სადავოდ ქცეული უფლების ან კანონიერი ინტერესის დასაცავად. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვა უკავშირდება მხოლოდ პირის უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვის რეალურ საჭიროებას. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს არა ნებისმიერი, არამედ იურიდიული დაინტერესება, უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობასთან ერთად პირს უნდა გააჩნდეს იურიდიული, ლეგიტიმური, პატივსადები ინტერესი მის მიერ დაწყებული ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტისადმი, რაც ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის პირობას წარმოადგენს. ინტერესის საკითხის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვერ დაეყრდნობა მხოლოდ საჩივრის ავტორის მოსაზრებასა და ვარაუდს. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ადმინისტრაციულ ორგანოში თავისთავად არ ადასტურებს პირის ინტერესის არსებობას, საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოში რეალურად დაინტერესებული პირის სახელით.

საქართველოს მთავრობის 3.10.2013 წლის N1430 განკარგულებით არ დაკმაყოფილდა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ და სხვათა ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 05.07.2013 წლის N03/108 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, ხოლო საქართველოს მთავრობის 4.10.2013 წლის N1433 განკარგულების შესაბამისად არ იქნა განხილული ამავე ორგანიზაციის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 08.08.2013 წლის N03/130 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, რომლებიც თავის მხრივ გასაჩივრებელია ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ მიერ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც განიხილება „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადარო“-სათვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის გაუქმების კანონიერების

საკითხი. ზემოხსენებული საქართველოს მთავრობის განკარგულებებით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ არ იქნა მიჩნეული დაინტერესებულ პირად (მხარედ), რომელსაც პირდაპირი და უშუალო ზიანი მიადგა ან უკანონოდ შეიზღუდა მისი კანონიერი უფლება გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების გამოცემით.

საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ უთითებს „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციით მათთვის მინიჭებული უფლების რეალიზების თაობაზე.

ზემოხსენებული კონვენცია ეხება გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ადგენს, რომ კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ, უნდა უზრუნველყოს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თუმცა გადაწყვეტილების მიღების გარკვეულ საფეხურზე, სანამ არჩევანი გაკეთდება (მე-8 მუხლი). ხსენებული კონვენციის მიხედვით, პირს უფლება აქვს გაასაჩივროს მხოლოდ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად მოქმედი არც ერთი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი არ ითვალისწინებს, სადავო საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ფართო საზოგადოების მიერ გასაჩივრების წესს, თუმცა, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე თავად „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ ფლობდნენ ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, უზრუნველყონ მისი დაცვა და შენარჩუნება, რაც არ შეიძლება განმარტებულ იქნეს იმდაგვარად, რომ ნებისმიერ პირს გააჩნია უფლება გაასაჩივროს სამინისტროს მიერ „კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მატარებელი ობიექტის“ მიმართ მიღებულ საკითხზე რომელიმე გადაწყვეტილება. მეტიც, წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრით სადავოს წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის N01/01-1227 გადაწყვეტილება, რომელიც თავისი არსით და ბუნებით არ ეხება გარემოსდაცვით საკითხების გადაწყვეტას, აღნიშნული დადებითი დასკვნით ნება დაერთო შპს „RMG Gold“-ს სამთო სამუშაოების განსახორციელების შესახებ, ხოლო სამთო სამუშაოების წარმოებისათვის თანხმობის მიცემა კონკრეტულ ტერიტორიაზე არ ნიშნავს გარემოზე ზემოქმედებას, შესაბამისად სადავო აქტის კანონიერების საკითხთან მიმართებაში „მწვანე ალტერნატივის“ დაინტერესებულ პირად მიჩნევა გარემოსდაცვითი კონვენციის საფუძველზე



უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. რაც შეეხება სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის N05/09/221 დასკვნის კანონიერებას და მასზედ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის ვალდებულებას, გაცნობებთ რომ 2008 წლის 21 ნოემბერს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის N 3/331 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მიხედვით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებები არ საჩივრდება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, შესაბამისად საქართველოს მთავრობის კანცელარია არ გახლავთ უფლებამოსილი სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის N05/09/221 დასკვნის კანონიერების თაობაზე წარმოდგენილი თქვენი საჩივარი გადაგზავნოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 2014 წლის 13 მარტის N01/01-1227 გადაწყვეტილების მიღებისას სრულად ეყრდნობა სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის N05/09/221 დასკვნას, რომლითაც უდაოდ დადგენილია, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე უძველესი ოქროს მადაროს ან ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლის არსებობა დადასტურებული არ არის. ამდენად აღნიშნული ტერიტორიაზე საძიებო სამუშაოების განსახორციელებლად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის N01/01-1227 გადაწყვეტილების კანონიერებასთან მიმართებაში დაინტერესებულ პირად ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ვერ ჩაითვლება. აქვე განვმატავთ, რომ სზაკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილით: ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოებასთან დაკავშირებით მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებებისა თუ მოქმედებების დამოუკიდებლად გასაჩივრების აკრძალვას და არა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული (გამოცემული) ადმინისტრაციული აქტის ცალკე წარმოების წესით გაუსაჩივრებლობას, მით უფრო რომ სზაკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის მეორე წინადადება სპეციალურ დათქმას ადგენს: გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს. ვინაიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო წარმოდგენენ სხვადასხვა

ადმინისტრაციულ ორგანოებს, ამასთან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია თითოეული მათგანის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი, წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად მიღების პირობებშიც კი ვერ გახდება რევიზიის საგანი სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად დავის დაწყების შემთხვევაში საჩივრდება სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში ან/და სასამართლოში.

გარდა ამისა, როდესაც საჩივრის ავტორი თავის მოსაზრებაში მიუთითებს საქართველოს მთავრობის სხვა სასამართლო დავებში მონაწილეობაზე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ წინააღმდეგ, გვინდა ავლნიშნოთ, რომ ეს დავები, რომლებთან დაკავშირებითაც წარმოება მიმდინარეობდა სასამართლოში, შეეხებოდა საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხებს და სარგებლობის ლიცენზიების გაცემის აქტებს, რომლებიც თავისი შინაარსით კავშირში იყო გარემოსდაცვით საკითხებთან. ამავე დროს გასაჩივრებული საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები გამოცემული იყო ასოციაცია „მწვანე ალტერნატივასთან“ დაკავშირებით, რის გამოც მისი დაინტერესებულ პირად მიჩნევის საკითხი სადავო არ შეიძლება გამხდარიყო სასამართლოს მიერ.

ამდენად, ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ არ წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, ვინაიდან, არ არის დადასტურებული მის კანონიერ ინტერესზე პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტი.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობამ არაერთხელ იმსჯელა „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადარო“-ს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსთან დაკავშირებით სხვადასხვა პირების მიერ წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორნი მ.შ. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ არ წარმოადგენენ სზაკ-ის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ დაინტერესებულ პირებს, ამასთან საქართველოს მთავრობის ზემოხსენებული განკარგულებები კვლავაც ძალაშია და არ გაუქმებულა, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებას სცილდება მსგავს, ანალოგიულ საკითხებზე არაუფლებამოსილ პირთა მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა და მასზე არსებითი (შემაჯამებელი) გადაწყვეტილების მიღება.

სზაკ-ის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციულ საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველია, თუ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ N11916 ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

პატივისცემით,

სოფიო სიჭინავა



იურიდიული დეპარტამენტის უფროსი